

# პროფესიონალი

№69

PROFESIONALI

შანი 2 ლარი





მშენებლობა და  
ბენეფიციარები

WWW.SUBTROPICITY.GE




1 SHEARIF KHIMSHIASHVILI STREET, BATUMI

MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100

Info@subtropiccity.ge

# სუბტროპიკსიტი

მრავალფუნქციური სასტუმრო-კომპლექსი



## აქცია!



მ. ბათუმი, სიბურჯაძის ქუჩა №1  
19 სართულიანი მრავალ ფუნქციური სასტუმრო-კომპლექსი  
საერთო საპროექტო ფართობი - 5000 კვ. მ  
ბინები 99 კვ.მ - თან  
**მშენებლობა დასრულებულია!**



თბილისი, თარგნიშვილის №2



ბაღდათის ქარბაზი

მ. ბათუმი, აკეთაშვილის ქუჩა №4  
7 სართულიანი სასტუმრო-კომპლექსი  
ფართობი: 4200 კვ.მ  
მშენებლობის პერიოდი: ( 2010-2012) ბინები 70 კვ.მ თან  
**მშენებლობა დასრულებულია!**



მ. ბათუმი, ვახტანგის ქუჩა №53-57  
14 სართულიანი სასტუმრო-კომპლექსი  
ფართობი: 9670 კვ.მ /  
მშენებლობის პერიოდი: ( 2013-2015) ბინები 41,2 კვ.მ თან

# ბიზნესობსერვატორია

### გამოწვევათა ქალაქი დიდი



პროექტი გეგმავს ქალაქის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს. პროექტი დაგეგმილია ქალაქის ცენტრში, სადა უკვე არსებობს რამდენიმე სასახლე.



პროექტი დაგეგმილია ქალაქის ცენტრში, სადა უკვე არსებობს რამდენიმე სასახლე.

### სამრეწველო უბანი იმედიანად ვარს



სამრეწველო უბანი იმედიანად ვარს. პროექტი გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.



პროექტი გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.

### შ.პ.ს „ახალი სამარტელო“



შ.პ.ს „ახალი სამარტელო“ გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.



შ.პ.ს „ახალი სამარტელო“ გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.

### შპს „ვასაფრენდი“



შპს „ვასაფრენდი“ გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.



შპს „ვასაფრენდი“ გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.

- პროექტი
- გეგმვა
- მშენებლობა
- სამრეწველო უბანი
- სამრეწველო უბანი
- სამრეწველო უბანი






შპს „ვასაფრენდი“ გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.

### „კოლონიკონსტრუქციები“



„კოლონიკონსტრუქციები“ გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.



„კოლონიკონსტრუქციები“ გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.

### გეგმვა



გეგმვა გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.



გეგმვა გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.



Alpina  
თქვენი შვილის  
ჯანმრთელი  
გარემოსთვის

ალპინა გეგმავს სამრეწველო უბანის მშენებლობას, რომელიც მოიცავს სასახლას, სკოლებს, ბაზრას, სპორტულ და კულტურულ ცენტრებს.

მთ.რედაქტორი:  
ელა ლუღაევი  
სარედაქციო ყოლეგია  
მისამართი:  
თბილისი, ვ. ივანოვიძის ქ. №6  
ტელ.: 299-82-60

ყურნალი მოქმედებს თავისუფალი ჰრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ყურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

**E-mail: profesionali@mail.ru** 30.10.14.-30.11.14

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ყურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა



## პარლამენტის საპარლამენტო ქრონიკა საპარლამენტო ქრონიკა

პარლამენტის პლენარული სხდომა დეპუტატების განცხადებებით დაიწყო. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ზუნდაძის განცხადებით, აუცილებელია, საზოგადოებას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო პენსიების შესახებ.

„2013 წელს ასაკით პენსიონერებისთვის პენსია გაიზარდა 25 და 40 ლარით, მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის - 50 ლარით, თუ ასაკით პენსიონერი არის სოციალურად დაუცველი, ის იღებს გარმაგებულ სოციალურ შემწეობას. სოციალურად დაუცველი პენსიონერები, რომლებიც სახელმწიფოსგან ყველაზე მეტ ზრუნვას საჭიროებენ, იღებენ პენსიას და სოციალურ დახმარებას

პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. მომხსენებლის განმარტებით, კოდექსი მიზნად საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი ხელისუფლებების და ამ ხელისუფლებების ორგანოების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების (გარდა სამეწარმეო იურიდიული პირებისა და ეროვნული ბანკისა) საბიუჯეტო ურთიერთობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრას ისახავს. ასევე, ემატება საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის განმარტებები, ხოლო სათანადო მუხლებს - შესაბამისი განმარტებები მათი ბიუჯეტის განსაზღვრის მიზნით. ფართოვდება საბიუჯეტო ორგანიზაციის განმარტება. კანონპროექტით გათვალისწინებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე გავრცელდება საბიუჯეტო კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იგივე



ერთად. ყველა სოციალურად დაუცველი პენსიონერი 2013 წლიდან იღებს 210 ლარს. 2015 წლისთვის ისინი მიიღებენ 220 ლარს. 2016 წლისთვის კიდევ იგეგმება პენსიების გაზრდა“, - აღნიშნა დიმიტრი ზუნდაძემ. მისივე ინფორმაციით, 2015 წელს, მედიკამენტებით უზრუნველყოფისთვის, დამატებით 10 მილიონი ლარი გამოიყოფა. - განაცხადა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ისაუბრა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა, გიორგი ბარამიძემ. „ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ შეგვიძლია სამხედრო დაპირისპირებით რუსეთის ფედერაციას შევეჯიბროთ, ეს არც არასდროს ყოფილა ჩვენი მიზანი და არც უნდა იყოს, ბუნებრივია, მაგრამ საქართველოს უნდა ჰქონდეს ღირსეული წინააღმდეგობის გაწევის უნარი“, - აღნიშნა დეპუტატმა. ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზებზე ისაუბრა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა, ზურაბ ჯაფარიძემ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის“, ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, უმცირესობა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დაუჭერს.

განცხადებების შემდეგ, პლენარულ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დაიწყო. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ, საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტი წარმოადგინა.

პირველი მოსმენით განიხილეს საქართველოს კანონის

რეგულაციები, რაც ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. პროექტით დგინდება ღონისძიებები გარდამავალი პერიოდისათვის. კანონპროექტის წარდგენის შემდეგ მომხსენებელმა დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. როგორც გიორგი კაკაურიძემ განმარტა, კანონპროექტი არ წარმოადგენს ზედმეტ ინსტრუმენტს იმისათვის, რომ ფინანსთა სამინისტროს და მთავრობა ჩაერიოს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობაში. „2015 წლის პირველი იანვრიდან ერთადერთი ცვლილება, რაც განასხვავებს მას დღევანდელი სისტემისგან, იქნება ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯები აღრიცხება ისევ ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სისტემების მუშაობით. არანაირი ბერკეტი არ ემატება არც ფინანსთა სამინისტროს და არც მთავრობას, რომ განუსაზღვროს რაიმე პირობები ან პრიორიტეტები მუნიციპალიტეტებს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უბრალოდ, ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში, მოხდება აღრიცხვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დამტკიცებული კლასიფიკაციის შესაბამისად და როგორც პარლამენტს, ასევე ფინანსთა სამინისტროს, ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას, ვისაც თითოეული საჯარო სამართლის იურიდიული პირის თუ თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია აინტერესებს, შეუძლია ნახოს ეს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე, ისევე როგორც, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

გიორგი კაკაურიძემ წარმოადგინა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნის პროექტიდან გამომდინარე სხვა კანონპროექტებიც: „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „საადრულულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ საქართველოს პარლამენტის წევრებთან - ირაკლი სესიაშვილთან და გედევან ფოფხაძესთან ერთად მომზადებული საქართველოს კანონის პროექტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პირველი მოსმენით განხილვისთვის წარმოადგინა. ცვლილების მიხედვით, კანონს ემატება ახალი ტერმინები და მათი განმარტებ-

კანონპროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ. მისი განცხადებით, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შენიშვნები გამოითქვა, რომელთა ნაწილი გაზიარებულ იქნა. ვახტანგ ხმალაძის თქმით, კომიტეტის წევრთა ნაწილის აზრით, ბრძანების გაცემა და არხის გახსნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მონაცემების მიღებაზე, ინტერესთა კონფლიქტშია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მაკონტროლებელ, საზედამხედველო ფუნქციასთან. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის წევრთა შეკითხვებსაც უპასუხა. უმცირესობის წევრი, ხათუნა გოგორიშვილი დაინტერესდა, არის თუ არა თეორიული შესაძლებლობა იმის, რომ პარლამენტმა მიიღოს, როგორც ეკა ბესელიას, ირაკლი სესიაშვილისა და გედევან ფოფხაძის პროექტი, ასევე თავად ვახტანგ ხმალაძის საკანონმდებლო ინიციატივა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზეც. „აბსოლუტურად დაცული სისტემა ბუნებაში არ არსებობს. დანიშნულება ნებისმიერი კანონისა, რეგულაციებისა, რისი მიღებაც ჩვენ გვინდა ის არის, რომ მინიმუმადე დავიფიქსიროთ რისკები უკანონო შეჭრისა პირად ცხოვრებაში. ეს არის მიზანი“- განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

რეგლამენტით გათვალისწინებული წესით, ტრიბუნა ფრაქციების წარმომადგენლებსაც დაეთმო. ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“ სახელით, სხდომაზე დამსწრეთ შალვა შავგულიძემ მიმართა. დეპუტატის განცხადებით, წარმოდგენი-



ბი, კერძოდ, განისაზღვრა უფლებამოსილი ორგანოს ცნება, ამასთან წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია კონტროლის ელექტრონული სისტემისა და მონაცემთა ბანკების კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემების განმარტებები. კანონს ემატება მუხლი, რომელიც განსაზღვრავს კონტროლის მექანიზმს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე. პროექტში გათვალისწინებულია გარდამავალი დებულებები, რომლის შესაბამისდაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2015 წლის 31 მარტამდე უნდა უზრუნველყოს კონტროლის ელექტრონული სისტემისა და მონაცემთა ბანკების კონტროლის ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შექმნა. „ეს არის ორი ძალიან მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვა. პირველი ეს არის ადამიანის პირადი ცხოვრების და თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტი და მეორე - ეს არის უსაფრთხოება, რომელიც ასევე არის ადამიანის უფლებების სფერო და ადამიანის უფლებების შემადგენელი ნაწილი. ამ ორი სიკეთის დაბალანსებას ვცდილობთ ჩვენ შემოთავაზებული კონცეფციით“; - განაცხადა ეკა ბესელიამ.

ლი კანონპროექტით უგულვებელყოფილია ევროკავშირის დირექტივა, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვას ეხება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი შემოყვანილია, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმხორციელებელი სუბიექტი. მან უნდა შეამოწმოს და გააკონტროლოს, ხორციელდება თუ არა მოსამართლის მიერ ნებადართულ ფარგლებში ეს ღონისძიება“; - განმარტა შალვა შავგულიძემ. მისივე განცხადებით, ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით, პოზიცია დააფიქსირა ზურაბ ჯაფარიძემ. უმცირესობის წარმომადგენლის განცხადებით, ამ კანონპროექტის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლია პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის გვერდის ავლით განახორციელოს ფარული მოსმენა. მისივე თქმით, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მენეჯერის ფუნქცია ექნება, მას შეეძლება, გააკეთოს ცალკე სისტემა და განახორციელოს ფარული მოსმენა ისე, რომ ეს არსად აღირიცხოს და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი ამის შესახებ ინფორმაციას ვერ მიიღებს. საპარლამენტო უმცირესობის წევრთა განცხადებით, ისინი კანონპროექტს მხარს არ დაუჭერენ.

# მოსახლეობას ხვალინდელი დღის რჩენა უნდა გაუჩნდეს

საქართველოში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ ქვეყნის მთავარ პრიორიტეტებად რჩება. ქვეყნის მთავრობამ წარმატებით გაართვა თავი გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელ ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპს და დღეისათვის მთავარ მიზანს ამ მიდევრების შემდგომი განვითარება წარმოადგენს. ქვეყნის სტაბილურობა საქართველოს მთავრობის ფუნდამენტური ამოცანაა და ამის მისაღწევად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით გრძელდება, დაგეგმილია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, სახელმწიფო ვალის ეფექტური მართვა, ბიუჯეტის დეფიციტის შეცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება. 2015 წლიდან, ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად და ეკონომიკური სტაგნაციის საბოლოოდ დასამარცხებლად საქართველომ კვლავ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა, სხვადასხვა სფეროებში კონკურენტული უპირატესობების განვითარების მიზნით. პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის და მთავრობის ეკონომიკის კურსი უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ამ საკითხების მოგვარება მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის აქტიური თანამშრომლობის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ხარაგაულში კარგად ესმით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში და მზად არიან საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის წარმატებებს ბოლომდე მოახმარონ. რაიონში მიმდინარე სიახლეებზე და სამომავლო პერსპექტივებზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **იობა ლურსმანაშვილი** გვესაუბრა...



**- ბატონო კობა, რა ვითარებაა რაიონში?**

- ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების აქტიური ფაზა მიმდინარეობს. დაიწყო გერმანელი სპეციალისტების მიერ მომზადებული საუკუნოვანი, 100 მილიონიანი პროექტი „ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთი“ გზის რეაბილიტაცია, პროექტის პრეზენტაცია მოხდება და 2016 წელს დაიწყება მშენებლობა, რომელსაც აზიის განვითარების ბანკი დააფინანსებს. გარდა ამისა, მოსაფალტდა ხიდარის გზის დიდი მონაკვეთი, ხარაგაულიდან

ფარცხნალისკენ მიმავალი გზა და დაბის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების 80%. მოწესრიგდა გარე განათება. პარალელურად, სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაც დაგეგმილია. სანიადგრე არხებზე და ნაპირსამაგრ სამუშაოებზე 2013-14 წლებში თითქმის მილიონზე მეტია დახარჯული. ასევე, განვიხილავთ ხარაგაულის ტურისტული პოტენციალის მზარდ შესაძლებლობებს. მოგეხსენებათ, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმართულებით მდებარეობს ჩვენი საკურორტო ზონები, მათ შორის, ნუნისი და ზვარეს მინერალური წყლები. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ვფიქრობთ, ტურისტების მოზიდვას მოვანერგებთ, რაც მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება და ახალი სამუშაო ადგილებიც შეიქმნება.

**- კიდევ რა სიახლეებია?**

- მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებით შორს ვერ წავალთ, თუმცა, ეს ის საბაზისო საკითხია, რომლის მოგვარება პირდაპირობორციულად განაპირობებს რაიონის ეკონომიკურ განვითარებას. გვაქვს კიდევ



რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა შორის, განსაკუთრებულია საბავშვო ბაღების მშენებლობის და რეაბილიტაციის საკითხი. მუნიციპალიტეტს გადმოეცა და 200 ახალი ლარით დაფინანსდა ბორითში არსებული შენობა-ნაგებობა. ახალი ბაღები გაეშენა მალაქოთიან სოფელ ვახანში, ვარძიაში, კიცხში. წლის ბოლომდე მოსაპირკეთებელი და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოები დასრულდება ხიდარის, წყალაფორეთის, ზვარეს საბავშვო ბაღებში. გარდა ამისა, აღვადგინეთ ხარაგაულის კინოთეატრი, რომელიც ყველა თანამედროვე სტანდარტს აკმაყოფილებს. გარემონტდა და ექსპლუატაციაში შევიდა რაიონის სპორტსკოლა, ყურადღება ექცევა ფეხბურთს და სპორტის ტრადიციულ სახეობებს.

**- სოციალური კუთხით რა ვითარებაა?**

- დღეს, როდესაც ახალი ხელისუფლების პირობებში, პროფესიონალიზმი დაფასდა და კონკურსები სრულიად გამჭვირვალედ მიმდინარეობს, მუნიციპალური სამსახურები უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ და აღარ ხდება ნაცნობ-მეგობრობით გადაწყვეტილებებ-

გააკეთა განცხადება, რომ უახლოეს მომავალში გვექნება საავადმყოფო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, დეკლარაციის ქუჩაზე შერჩეულია ტერიტორია, სადაც სამშენებლო სამუშაოები 6500 კვადრატულ მეტრზე დაიწყება. დეკემბრის ბოლომდე შენობა აივება და მედპერსონალს ყველა პირობა ექნება პაციენტების მისაღებად. ამავდროულად, მოხდება ორსართულიანი შენობის მოდერნიზება და გვექნება საავადმყოფოს კორპუსი. ამავ ტერიტორიაზე განთავსდება სასწრაფო დახმარების სამსახური 112 და ხარაგაულის ეს პრობლემა საბოლოოდ მოეხსენება.

**- რაიონს სასმელი წყლის პრობლემა მუდამ აწუხებდა...**

- მართლაც, კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ხარაგაულს აწუხებს, წყალთან დაკავშირებული საკითხებია. სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები გასულ წელს გაკეთდა, თუმცა, ამ მიმართულებით დღეს სერიოზული კითხვის ნიშნები არსებობს. მიწოდება თვეების განმავლობაში კვლავ გრაფიკის მიხედვით ხორციელდება, წვიმების დროს წყალი ამღვრეულია, ხოლო ზაფხულში, მხოლოდ ორიოდ საათის განმავლობაში მიეწოდება მოსახლეობას. მუნიციპალიტეტი და კერძო კომპანიები ერთად ვმუშაობთ გამრიცხველიანებაზე, რათა მომავალში გრაფიკი 24 საათიანი გახდეს. ამავდროულად, ჩვენ დავიწყეთ ახალი პროექტი, რომლის მიხედვით მოხდება ინფრასტრუქტურის ხელახალი მოწყობა და სისტემა ახლებურად დარეგულირდება. ამის შედეგად, ჩვენ იმხელა დებუტი გვექნება, რომ წყლის პრობლემა მთლიანად მოიხსენება.

**- ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის მიწოდების მხრივ რა ვითარებაა?**

- გვემის მიხედვით, ხარაგაულის ტერიტორიაზე გაზიფიცირება ეტაპობრივად მიმდინარეობს. სამომავლოდ, დღის წესრიგში დადგება ხარაგაულის დაბის მთლიანი გაზიფიცირების პროექტი. გარდა ამისა, სერიოზულად ვეკიდებით სოფ-



ის მიღება. შესაბამისად, სოციალური კუთხით უფრო მრავალფეროვანი პროექტები ხორციელდება. ვაპირებთ, ისეთ სეგმენტებზე ავიდეთ ორიენტაცია, სადაც მოსახლეობის დახმარება გაცილებით ეფექტური იქნება. ზოგადად, ხარაგაული მიგრაციული რაიონია და ამ კუთხით აუცილებელია სახელმწიფო პროგრამებმა გამიზნულად იმუშაონ, რათა მოსახლეობამ მეტი ყურადღება იგრძნოს. მაგალითად, პრემიერის პროგრამის მიხედვით, მაღალმთიან სოფლებში, ბავშვებზე ორი წლის ასაკამდე თვეში ორასი ლარია გათვალისწინებული. ვფიქრობ, ასეთი წახალისება ძალზედ წაადგება სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას. გარდა ამისა, სპეციალური კომისიის მეშვეობით კატეგორიულად ვანაწილებთ და შეძლებისდაგვარად ვაფინანსებთ სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებს, მატერიალურად ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

**- ჯანდაცვის კუთხით რა საინტერესოა?**

- დიდი ბრძოლა დაგვიჩირდა ხარაგაულში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მოსაგვარებლად. საბოლოოდ, ხელისუფლების მხრიდან გადაიღვა ქმედითი ნაბიჯები და ბატონმა დავით სერგეენკომ



ლებში ელექტროენერჯის მიწოდების საკითხს. მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ინტენსიური კავშირი გვაქვს ენერჯო-პროფორჯისასთან, რათა ზამთრის პერიოდში ინფრასტრუქტურას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და მეტი ინვესტირება განხორციელონ, რათა ხალხს პრობლემები არ შეექმნას.

**- ბატონო კობა რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს?**



- შარშან ხარაგაულში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 260-ზე მეტი პროექტი განხორციელდა, რაზეც 770 ათასი ლარი დაიხარჯა. სოფლებში აქტივობები სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. ეს საკითხი სერიოზულ კონტროლზე გვყავს აყვანილი და ვცდილობთ შეცდომები გამოვრიცხოთ. წელს კი სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში 200 პროექტი განხორციელდა,



რაზეც დაახლოებით 800 ათასი ლარი დაიხარჯა.

**- რაც შეეხება სამომავლო გეგმებს?**

- რაიონის 2015 წლის ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული იქნება. გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. მინდა, კმაყოფილება გამოვხატო საქართველოს მთავრობის მიმართ რაიონების სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ადგილობრივი ბიუჯეტები ყოველწლიურად ზრდის დინამიკაში იქნება. რკინიგზიდან ხარაგაულს, თითქმის მილიონ ლარამდე შემოსავალი აქვს, რაც სამომავლოდ თითოეული ხარაგაულელის კეთილდღეობაზე აისახება და მათ პრობლემათიკაზე იქნება ადაპტირებული.

**- ადგილობრივების დასაქმება როგორ მოხდება?**

- ჩვენს ინტერესებშია ბუნებრივი რესურსების სრული გამოყენება, რის შედეგად ბიუჯეტი კიდევ უფრო შეივსება, ამიტომ კერძო ინიციატივებს ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება. აღსანიშნავია ის სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივ წარმოებების შექმნაზე. ამ მიმართულებით

ხარაგაულს დიდი პოტენციალი გააჩნია. რაიონში უნდა განვითარდეს მეფუტკრეობა, რომელიც საკმაოდ მოთხოვნადი და ძვირადღირებული დარგია, განვითარების ახალ საფეხურზე შეიძლება



ავიდეს მესაქონლეობა. მოგვეპოვება მარმარილოს კარიერები და ზვარის წყლის რესურსი, რომლის გამოყენება ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, შეჩერებულია, რადგან ლიცენზიანტს საკმარისი სახსრები არ გააჩნია. აქტუალურია ზეტყის გადაშუშავებასთან დაკავშირებული სიახლეები, რომელიც სატყვეო სააგენტომ შემოიტანა და ამერიკიდან ტყის პროფესიონალები მიხედავენ. სამასალე ხე-ტყე აუქციონის წესით გაიყიდება, მეწარმეებს მიეცემათ საშუალება მასალა შესაბამისი წესით შეიძინონ და დაამუშაონ. აქტუალურია გრენილგადამამუშავებელი ქარხნის საქმიანობის აღდგენა და ადგილობრივი კონიაკის წარმოების ამუშავება, რომელსაც სააქციო საზოგადოება „იმერი“ ახორციელებს.

**- იმედა, თქვენი ძალისხმევით, წარმატებები არ დააყოვნებს...**

- მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი დარბაზიშვილს და ბატონ ზაზა მეფარიშვილს ნდობისა და

თანადგომისათვის. ჩემს ხარაგაულელებს დავეუფასო მხარდაჭერა და დავპირდები, რომ მაქსიმალურად დავინარჩუნებ მათი ინტერესების გასატარებლად, პრობლემების მოსაგვარებლად 24 საათიანი რეჟიმით გავაგრძელებ ზრუნვას ადგილობრივ მოსახლეობაზე. უკლებლივ ყველას შეუძლია



დაგვიკავშირდეს, ჩვენამდე მოიტანონ საკუთარი პრობლემები და სიტყვას ვაძლევ, რომ ყველაფერზე სწრაფ რეაგირებას მოვანდინთ. ხალხმა ზვალინდელი დღის იმედი უნდა იწამოს, ხოლო ხელისუფლებამ, რომელიც საქართველოს უკეთესი მომავლისთვის იბრძვის, მოსახლეობისთვის მიცემული პირობები პირნათლად შეასრულოს.



# გამოწვევათი ქალთან დიდია



როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე ხნის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ლარიაშვილმა, საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების შესახებ ახალი ინიციატივა წარმოადგინა, რომელიც მიზნად ისახავს ამ რეგიონებში სამეურნეო და სოციალური აქტივობის გაძლიერებას, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, კატასტროფული მიგრაციის შეჩერებას და დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას. ამისათვის საჭიროა თვითმმართველობის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა სახელმწიფომ წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას, განავითაროს ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოს სოციალური სისტემის სრულყოფა და ხელმისაწვდომი გახადოს ჯანდაცვა. თავისი უნიკალური ადგილმდებარეობით და მრავალფეროვნებით, ღუშეთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია

საქართველოში. მკაცრი კლიმატური პირობების მქონე და უშუალოდ სახელმწიფო საზღვრისპირად მდებარე მრავალფეროვანი რეგიონი სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურისა და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სასწრაფო რეაბილიტაციას მოითხოვს, რაც თავისთავად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. იმ სპეციფიკურ მიდგომებსა და პერსპექტივებზე, რომელიც რაიონის წინსვლას და განვითარებას ესაჭიროება, ღუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ვაჟა ჩოხელი** გვესაუბრა...



**– ბატონო ვაჟა, რა მდგომარეობა დაგხვდათ ღუშეთში?**

– მოგეხსენებათ, ღუშეთის მუნიციპალიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია, რომელიც

– ფშავში, ერთ-ერთ დიდ სოფელ კაწალხევში, სადაც 20 წელზე მეტია დენი არ ყოფილა, სამუშაოები დაგამთავრეთ და მალე მოსახლეობას ელექტროენერგია მიეწოდება. ღუშეთის მაჟორიტარ დეპუტატთან და კომპანია „სოკარის“ ხელმძღვანელობასთან ერთად დაიგეგმა სამომავლო პროექტი, რომლის შესაბამისად ეტაპობრივად მოხდება მთელი რაიონის გაზიფიცირება, ხოლო ქალაქ ღუშეთში ეს პროცესი უკვე მთავრდება. ასევე მუნიციპალიტეტის ჩვიდმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, ამიტომ გამოვყოფ რამდენიმეს: ამაჟამად, ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს ანანური-ავენისის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე ანანურის საჯარო სკოლაში ხდება გათბობის სისტემის დამონტაჟება, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით ხორციელდება. ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში ხდება დარჩენილი გზების მოასფალტება და გარე



290 სოფელს, ორ დაბას და ერთ ქალაქს აერთიანებს. ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი და მუნიციპალიტეტის ქვედა ზონა. ამ კუთხეებს თავისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშანი გააჩნია და ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება. სოფლებში, რომელთა უმრავლესობა მაღალმთიანია, ფაქტობრივად მოშლილი იყო ინფრასტრუქტურა – შესაკეთებელი იყო გზები, ნაპირსამაგრები, წყალმომარაგების სისტემები. რამდენიმე სოფელს ათწლეულების განმავლობაში არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. ამ საკითხებზე კი დღეს ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.



**– კონკრეტულად, რა სიახლეებია?**

განათების მოწყობა, სოფელ წითელსოფელში, USAID-ის NEO-ის პროგრამის ფარგლებში და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მოხდა წითელსოფლის ბაზრის რეაბილიტაცია და ახლა მოვაჭრებს ნორმალურ პირობებში მოუწევთ მუშაობა. ამავე სოფელში გაშენდა დასასვენებელი სკვერი, რომელიც ყველა ასაკის ადამიანისთვის არის განკუთვნილი. ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ერთ-ერთ დიდ სოფელ ბაგაში მოხდა გზის მოწესრიგება - ეს გზა უმძიმეს მდგომარეობაში იყო და ასფალტი აქ პირველად ეგება. ანალოგიური სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთსა და გუდამაყარში. ამას გარდა ხდება სტიქიის შედეგად დაზარალებული ობიექტების აღდგენა-რე-

როგორც მთელ საქართველოში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჩვენც ყველა სოფელში კრებებს ვატარებთ, სადაც მოსახლეობა საკუთარ ინიციატივებს გვაცნობს. კრების ოქმების საფუძველზე, მოსახლეობის უმრავლესობის აზრის მიხედვით ხდება პროექტების შერჩევა და შემდგომში მისი შესრულება, ასევე ამ ოქმების საფუძველზე წყდება ის თუ რაში დახარჯავს ესა თუ ის სოფელი გამოყოფილ თანხას და დგინდება ის თუ რა სამუშაოებია ჩასატარებელი, რა სჭირდება სოფელს - ტექნიკა, სამშენებლო მასალა თუ სხვა რამ.

**- ამას წინათ პრემიერ-მინისტრი გსტუმრობდათ...**

- ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაათვალიერა მუცოში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები, რომელთა გაფართოებაც იგეგმება მომავალი წლისთვის. უკვე დასრულებულია რომკა-არხოტის დამაკავშირებელი 25 კილომეტრიანი გზის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები და მომავალი წლიდან სამუშაოებიც დაიწყება, რის შედეგადაც ეს ისტორიული მხარე ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება და ამასთანავე, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მთაში დარჩენას. პრემიერი ადგილობრივ მოსახლეობას ასევე შეპირდა, რომ მუნიციპალიტეტს ფშავ-ხევსურეთის გზების მოსწესრიგებლად გადმოცემოდა ბუღდოხერი, რომლის შესყიდვაც უკვე გამოცხადებულია ტენდერი.

**- სოციალურ სფეროს რაც შეეხება...**

- ღუშეთის მუნიციპალიტეტი ახორციელებს სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა: ერთჯერადი სოციალური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, უფასო სასადილო, ვეხმარებით მრავალშვილიან და ვეტერანთა ოჯახებს, ასევე ახალგაზრდული პროგრამის მიხედვით ქალაქ ღუშეთში მცხოვრებ სტუდენტებს გუნაზღაურებთ მგზავრობის თანხას თბილისამდე და ა.შ. ჩვენი ძირითადი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა და მათთვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, რათა თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად იგრძნოს. ჩვენ ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე გავაკეთეთ მუნიციპალური სატრანსპორტო პროგრამა მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მგზავრობის ხელშეწყობის კუთხით: ამ ეტაპზე ხორციელდება სოფ. ჩოხიდან



აბილიტირება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ვახდენთ სკოლებში გათბობის სისტემის მოწყობას, ხოლო საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემის დამონტაჟება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდება. ამას გარდა თვითონ ქალაქ ღუშეთის წყალმომარაგებისათვის გამოყოფილია 1 600 000 ლარი და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას გამოცხადებული აქვს სამუშაოზე ტენდერი. უკანაფშავის და მადაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, გომეწრის მიმართულებით მოწესრიგდა გზა და ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, ასფალტის ახალი საფარი დაევათ ფასანაურსა და ჟინვალში; გზების და გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სოფელ კაწალხევში, ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბაზალეთის ტბასთან ახლომდებარე სოფელ ბაგაში, ჭობორტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ ასატანში. ქალაქ ღუშეთში მოსაფალტდა რაზიკაშვილის და ბესიკის ქუჩები. მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიწმინდა სარწყავი არხები. სოფელ ბაზალეთში მოწესრიგდა წყალმომარაგების სისტემა, სოფელ არაგვისპირსა და მადაროსკარში დამთავრდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. სოფელ ცინისძირში მოეწყო სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები. საბოლოო ჯამში, პრაქტიკულად არ დარჩენილა არცერთი თეძი და სოფელი, რომელშიც სამუშაოები არ ჩატარებულა.



**- სოფლის მხარდაჭერი პროგრამების განხორციელება როგორ მიმდინარეობს?**  
- ეს პროგრამა ყველა სოფელში მიმდინარეობს და ისევე,

დაბა ფასანაურამდე კვირაში 2-ჯერ და სოფ.ჩოხიდან - ქ.ღუშეთამდე კვირაში ერთხელ მოსახლეობის უფასოდ მგზავრობა, რათა სოფლის მოსახლეობამ მოწეული პროდუქციის რეალიზება შეძლოს. ამ ეტაპზე მხოლოდ ეს ორი მარშრუტია, მაგრამ სამომავლოდ ვგეგმავთ გაფართოებას.

**- მოსახლეობის დასაქმების მხრივ რა ვითარებაა?**

- ამ მიმართულებით რამდენიმე სიახლე გვაქვს: მაქართაში მიმდინარეობს მინერალური წყლის ჩამომსხმელი საამქროს მშენებლობა. ეს მაღალი მინერალიზაციის მქონე წყალი თავისი ქიმიური მახასიათებლებით ევროპულ სტანდარტებში ჯდება

და მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შესაბამისად მშენებლობაზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. მცნეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მე-19 კილომეტრზე იგეგმება მრავალფუნქციური ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობა, სადაც „ქართული ტრადიციული მეღვინეობის“ დაფინანსებით განთავსდება ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, აშენდება სასტუმრო, სწრაფი კვების ობიექტები, ბაზარი.

**– კულტურის სფეროს განვითარება როგორ მიმდინარეობს?**

– მომავალი წლიდან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ვაპირებთ წამოვიწყოთ ქალაქ ღუშეთის ძველი უბნების სრული რეაბილიტაცია, რომლის პროექტიც უკვე არსებობს და რესტავრაცია რაუტარდება ძველ უბნებს და უნიკალურ შენობებს, შენარჩუნდება და აღდგება ისტორიული იერსახე. პროცესში ჩართულია ღუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი ირაკლი ტრიპოლსკი, მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოწვეული სპეციალისტები. ღუშეთის გარდა, თანხები გათვალისწინებულია შატილის კომპლექსის რეაბილიტაცია-რესტავრაციისა და მიმდებარე დაცული ტერიტორიის განვითარებისათვის, გულდამყარში გვეგმათ გოდერძი ჩოხელის სკოლის შენობის რეაბილიტაციას და არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრირებას. პროექტებია მთიულეთთან და ფშავთან დაკავშირებითაც. ვფიქრობთ, ამის შემდეგ ჩვენს ქალაქს და


მთასაც გაცილებით მეტი სტუმარი და დამსვენებელი ევოლებს. არის სხვა სიახლეებიც: ღუშეთში, ვაჟა-ფშაველას სახელობის პირველ საჯარო სკოლას 180 წელი უსრულდება და ვფიქრობთ ეს მოვლენა მასშტაბურად აღენიშნოთ. გარდა ამისა, 135 წელი უსრულდება ღუშეთის სახალხო თეატრს და ამ იუბილეზეც ბევრ სტუმარს ველოდებით. სახელოვნებო სკოლას დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა, ხოლო შენობას, სადაც სკოლაა განთავსებული - 100 წელი. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის კულტურულ - საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საიუბილეო კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

რაიონის კულტურის სახლში სოლო კონცერტი გამართა ადგილობრივმა ანსამბლმა „ქალილომ“, რომელიც მსმენელის წინაშე ახალი რეპერტუარით და ქორეოგრაფიული გაფორმებით წარსდგა.

**– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვოდით?**

– ვაპირებთ დავასრულოთ უკვე დაწყებული პროექტები და ყველა მიმართულებას მივხედოთ. ღუშეთის მუნიციპალიტეტის

ძირითადი პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია; განათლება; კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის განვითარება; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, დასაქმება და სოციალური უზრუნველყოფა; ასევე მეწარმეობის და ტურიზმის განვითარება. განსაკუთრებით ველოდებით მთის კანონის ძალაში შესვლას, რომელზე მუშაობაც მალე დასრულდება. მისი ძალაში შესვლის შემდეგ სახელმწიფო მთიანი რეგიონების მიმართ პროტექციონისტულ პოლიტიკას გაატარებს, რადგან კანონის მთავარი პრიორიტეტი მთიანი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, დასაქმება და იქ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იქნება. ჩვენ ასევე იმედი გვაქვს „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის, რომლის მიზანია ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის ხელშეწყობა, ასევე უნიკალური ბუნებრივი ვარეშისა და ლანდშაფტის დაცვა და მისი მდგრადი განვითარება. როგორც ხედავთ, გამოწვევები ძალიან დიდია, თუმცა მიმანია, რომ თუ საქმეს სულით და გულით მიუდგები, ყველა პრობლემა მოგვარდება და გამოსავალი მოიძებნება.



ორი წლის წინ, საპარლამენტო არჩევნებით, საქართველოს მოსახლეობამ მკაფიო ნება გამოხატა და მხარი დაუჭირა ქვეყანაში ძირეული ცვლილებების განხორციელებას. პროცესების სწორად განვითარების შედეგად, დემოკრატიულმა რეფორმებმა შეუქცევადი სასიათი მიიღო. განხორციელდა ფართომასშტაბიანი რეფორმები, მნიშვნელოვნად შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა. შეიქმნა რეალური თვითმმართველობა, რაც დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა მუდმივად ადასტურებს, რომ რეგიონალური განვითარების პოლიტიკა მისი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რომელიც მოწოდებულია გადამწყვეტი როლი შეასრულოს მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და საერთო-ეროვნული წარმატების მიღწევის საქმეში. დღემდე, ყველა რეგიონის მიმართ ერთგვაროვანი პოლიტიკის სტანდარტულად გატარება მნიშვნელოვნად ზღუდავდა მათი განვითარების პოტენციალის გამოყენებას, ხოლო

ცალკე აღებული მოკლევადიანი პროგრამები ვერ პასუხობდნენ რეალურ გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, მთავრობა ეფექტური რეგიონალური პოლიტიკის განხორციელების პირობად განიხ-

# სამოგალოდ უფრო იმედიანად ვართ

ილავს კონკრეტული რეგიონების შედარებითი უპირატესობების, მათი სტრუქტურული სპეციფიკის, სხვადასხვა სექტორების გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობების, არსებული რესურსების გარდაქმნის პოტენციალის ოპტიმალურ გამოყენებას.



საქმისადმი სწორი და გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად, იმერეთის რეგიონს აქვს პერსპექტივა განავითაროს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები, შექმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ამასთან, იყოს მიმზიდველი ტურისტული რეგიონი, რითაც იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში. ხონის რაიონში ამ მიმართულებით დიდი იმედი და საზოგადოების მაღალი მოლოდინი არსებობს, რაც უპირველეს ყოვლისა, რაიონის ხელმძღვანელის, ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი **ჯივან მახაჩაძის** დამსახურებაა...

– ბატონო **ჯემალ**, მოგვიყევით ბოლო პერიოდში ხონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ...

– რამოდენიმე ხნის წინ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, პრეზენტაცია გაემართეთ წყალტუბო-ხონის დამაკავშირებელი გზის მე-13 კილომეტრში, მდ. კუხაზე არსებული ხიდის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით და საზოგადოებას საკითხის ირგვლივ არსებული ინფორმაცია მივაწოდეთ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და მშენებლობის პროცესი გაზაფხულზე დაიწყება. აღსანიშნავია, რომ ტენდერის პირობებში, შემსრულებლის წინაშე დასმულ ძირითად მოთხოვნათა შორის პრიორიტეტული იქნება ადგილობრივი მუშახელის დასაქმების საკითხი. გარდა ამისა, სოფელ გორდასთან მათხოჯი-ხიდი-გორდა-კინჩხის საავტომობილო გზის 6 კილომეტრიანი მონაკვე-



თის და 1 ხიდის რეაბილიტაცია დასრულდა. მომავალ წელს დაგეგმილია ამავე გზის 5 კილომეტრის რეაბილიტაცია, რაც ტურისტებს და ადგილობრივ მოსახლეობას ოკაცეს კანიონთან მისვლას გაუადვილებს.

– როგორც ცნობილია, ახლახან კანიონი ბატონმა ირაკლიმ დარბაზვილმა მოინახულა...



– საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო. სასიხარულოა, რომ ოკაცეს კანიონის პროექტის ამოქმედებით და სოფელ გორდში ვიზიტორთა ცენტრის გან-

სნით, მოსახლეობას დასაქმების პერსპექტივა გაუჩნდა. პროექტის ღირებულებამ 4 მილიონ 800 000 ლარი შეადგინა, ხოლო მშენებლობას დაცული ტერიტორიების სააგენტო მეთვალყურეობდა. რაც შეეხება პრობლემებს, როგორც აღმოჩნდა, სოფელს არ გააჩნია აფთიაქი და სავაჭრო ობიექტი. პრემიერმა აღნიშნული საკითხის მოგვარება ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს დიმიტრი ქუშიშვილს დაავალა და მოსახლეობას გორდის დადიანების საზაფხულო რეზიდენციის აღდგენასა და რეზიდენციის მიმდებარე ტყე-პარკის შემოსაზღვრის საქმეში დახმარება აღუთქვა. ვფიქრობ, რომ აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ჩვენი რაიონის ტურისტულ პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის და თითოეული ხონელის კეთილდღეობაზე დადებითად აისახება.

**– არც ენერგეტიკის მინისტრის ყურადღება გაკლიათ...**

– განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს, რომელიც ხონის მუნიციპალიტეტში სამხედრო დასახლებაში ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარა. გაზიფიცირების სამუშაოების ღირებულებამ დაახლოებით 650 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო პროექტი გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების კომპანიამ კონტრაქტორებთან ერთად განაზორციელა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, გაზგამანაწილებელ ქსელში 634 აბონენტი ჩაერთო. ამ ეტაპზე დაწყებულია სასმელი წყლის პრობლემის მოსაგვარებელი სამუშაოები. გარდა ამისა, უკვე დასრულდა სოფელ მათხოჯის, დიდი კუნის, პატარა კუნის და ახალშენის გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები. ამ ეტაპზე საქმიანობა ხონის გაზიფიცირების მიმართულებით მიმდინარეობს. შეფერხებები არ გვაქვს და ვფიქრობთ, რომ დეკემბრის ბოლოს სამუშაოებს მთლიანად დავასრულებთ, ხოლო ქალაქისა და აღნიშნული სოფლები-სათვის ბუნებრივი აირის მიწოდების სამუშაოები მომავალი წლიდან დაიწყება.

**– კიდევ რა პრობლემებია რაიონში?**

– მთელი წლის განმავლობაში, უნვმა ნალექმა ხონის მუნიციპალიტეტში პრობლემები რამდენჯერმე შექმნა. ადიდებულმა მდინარე ცხენისწყალმა კალაპოტი იცვალა და სოფელ მათხოჯში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მიიტაცა. სტიქია გამუდმებით უქმნის საფრთხეს მოსახლეობას და ჩვენი ძალებით ამ პრობლემასთან გამკლავება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამიტომ საქმის კურსში ჩავაყენეთ ზემდგომი ორგანოები, რომელთა თანადგომის დიდი იმედი გვაქვს. ამასთან ერთად, აქტუალური იყო რაიონში გავრცელებული მსხვილფეხა

პირუტყვის ბრუცელიოზი და მასთან დაკავშირებული საგან-



გაში ვითარება. მუნიციპალიტეტში ამ კუთხით მძიმე სურათი შეიქმნა - დაავადებული პირუტყვი ბევრი იყო და სამწუხაროდ, ზოგიერთი ოჯახი, მიუხედავად დადასტურებული ფაქტისა, უარს აცხადებდნენ საქონლის დაკვლაზე. საბედნიეროდ, ამ მიმართულებით მიმდინარე საკარანტინო და სავაქცინო ღონისძიებებმა ეფექტური შედეგი გამოიღო.

**– ბატონო ჯემალ, სამომავლო გეგმებზე რას ავეტიცხვით?**

– სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა, სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ჩვენს მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათი შემდგომი განვითარება. მიმდინარე ეტაპზე, საქართველოში რეგიონული პროგრამების შედგენასა და მის რეალიზაციას მთავრობის მხარდაჭერით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. სწორედ ამ უწყებასთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით

ვაპირებთ რაიონში სიღარიბის შემცირებას, მოსახლეობის დასაქმებას და მეწარმეობის განვითარებას. 2014 წელი ღირსეულად გავიყვანეთ, ამიტომ სამომავლოდ უფრო იმედინად ვართ და ყველფერს ვიღონებთ ჩვენი კუთხისა და მთლიანად ქვეყნის საკეთილდღეოდ.



# „ვოლიმარკოტეიწერი“



შპს „ვოლიმარკოტეიწერი“ სონის ქიმიური ქარხნის მფლობელობა, რომელმაც ფუფუნონიერება 1961 წელს დაიწყო და ქალაქ სონში 200-250 მ<sup>2</sup> საწარმოო ფართი ააგო. 1964 წელს ქარხანა მის ავტომატულ მისამართში, ქ.სონი, მოსკოვლის 186-ში გადმოვიდა და მისამ საწარმოო ფართმა დაახლოებით 10-12 ათას მ<sup>2</sup>-ს მიაღწია. 2002 წლიდან ქარხანას აბრნი უონსტატიწე სატარკიშვილი ხალმტვანელონს

ქარხანა მანტა ვოლიმარკოტეიწის ნარკმის მსხვილი მწარმოებელი. დაიწყო ვოლიმარკოტეიწის ფირის, ტომრებისა და სხვანდსხვან ფართო მონმარების საწარმის წარმოება. ვარულაულად ქარხანა იწრდებოდა - შანდებოდა ახალი უონსტატიწე, დაიწყო არტხარადი რბილი უონსტატიწის „მარ-1“-ის წარმოება, დამონებულა რამდანიემა სხვანდსხვან სიმტლავრის ტარმონკულასტავტობები და მილუბის მამონსაშვები აქსტრადორი.

2005 წელს, ქარხნის ბაზაზე შეიქმნა შპს „ვოლიმარკოტეიწერი“, მან მფლობალონაში გადამტა წინამორბედ საწარმოებში არსებული ტექნიკური აღწარკვილობა, რომელმაც ააწიბალური შექათება და მონდარნიშაცია გაიწარა. ამის შანდებოდ, შპს „ვოლიმარკოტეიწერი“ მანტა ვოლიმარკოტეიწის 1688-დან 315 მმ-დელ დინამებრის მილუბის (როგორც წყლისტვის, ასევე მანისტვის) მწარმოებელი მტლავრი ქარხანა.



აქაადად საწარმოში მუშაობს მილბის გამოსაშვები 7 ერთეული დანადგარი, რომელთა დღიური სიმძლავრე რამდენიმე ათწლეულის სხვადასხვა დინამიკის სარეზინოვანი მილს შეადგენს. შპს „პოლიმეროპროდუქტს“ გააჩნია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორც წყლის ასევე გაზგაყვანილობის უძლიერესი მილბის სამრეზინო საშუალების სარეზინო გამოცდილება, რასაც საქართველოს ტერიტორიის ყველა რაიონში შესრულებადი საშუალებები ადასტურებს.



ქარხანები 40 მუშა მოსამსახურე დასაქმებული და საწარმოს წლიური ბრუნვა 1,5-2 მილიონ ლარს შეადგენს. 2013 წელში ქარხნის სასრები 1200მ<sup>2</sup>-ზე აშენდა ორსართულიანი თანამედროვე სავაჭრო ცენტრი, ხოლო 2015 წლის განმავლობაში რეზინოვანი სასრის მშენებლობა დაგეგმილია.



მოგვალ წელს დაგეგმილია ახალი საწარმოო ხაზების მოწყობა, რაც მკვეთრად გაზრდის ქარხნის სიმძლავრეს და გამოშვადი უროდუქციის ხარისხს.

მილბის დინამიკი 800 მმ - მდე გაიზრდება. აღნიშნულ დანადგარების შექანება 800,000 აშშ დოლარი დაიხარჯება, ხოლო საწარმოს მოდერნიზება საშუალებას მისცემს გაზარდოს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა და მათი შრომადი.





# მარტვილში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება

დღეისათვის, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა განავითაროს და განამტკიცოს ქვეყნის რეგიონალური განვითარება და ინფრასტრუქტურა, შექმნას პირობები ამ მიმართულებით არსებული სუსტი ადგილების დაძლევისა და ნიველირებისათვის. თავად საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება სიღარიბის შემცირების ხელშეწყობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად, უნდა მოხდეს საქართველოს გაერთიანება საერთაშორისო პროექტებში, ახალი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება. გათვალისწინებული უნდა იქნას ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, ხოლო უკვე არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა, სოფლებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეკონსტრუქცია და მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრება, ჩასატარებელია ნაპირსამაგრი და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები. ამ საკითხებს, მარტვილში, რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ალექსანდრე ბრიგადაშვილი** განაგებს, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა...



- ბატონო ალექსანდრე, რა სიახლეებია რაიონში ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით?
- როგორც მოგეხსენებათ, ინფრასტრუქტურის განვი-

თარება სახელმწიფოს პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ჩვენს მუნიციპალიტეტში მოხდა მარტვილი-სერაგეთი-აბეღათის გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა, რომელიც სს „არქეპოლისმა“ შეასრულა და პროექტის საერთო ღირებულებამ 1 952 846 ლარი შეადგინა. ორ ეტაპად განხორციელდა დიდი ჭყონი-ლედგებს გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, რომელიც 999 838 ლარით დაფინანსდა. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განა-



ორციელა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნოქალაქევი-ბანძა-ხონის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც დამხმარე ნაგებობების - კიუვეტების და ბოგირების რეაბილიტაციას ითვალისწინებდა. ამ პროექტის ღირებულებამ 7 357 130 ლარი შეადგინა.

**– როგორც ვიცით, მალე მარტვილში განახლებული სტადიონი გეგმებათ...**

– მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია წარმატებულად მიმდინარეობს. ამ საქმეში სახელმწიფომ დიდი დახმარება გაგვიწია და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 621 000 ლარი გამოგვიყო. სამუშაოებს შპს „ტოტალი“ ასრულებს, 1500-ადგილიანი საფეხბურთო სტადიონი ფუნქციონირებას ნოემბრის ბოლოს დაიწყებს და მარტვილის „მერანი“ საშინაო მატჩებს მშობლიურ ქალაქში ჩაატარებს.

**– „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ რაც შეეხება?**

– ამ პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტს 2014 წელს 1 146 871 ლარი გამოეყო. ეს თანხა კომლთა

პროექტები ხორციელდება. ბიზნესმენების მეშვეობით რემონტდება და სულ მალე ექსპლუატაციაში შევა წლების მანძილზე მიტოვებული და დანგრეული შენობა-ნაგებობები,




რაოდენობის მიხედვით მუნიციპალიტეტის 21 სოფელზე გადანაწილდა. ჩატარდა კრებები და მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით დაიგეგმა სოფელში ჩასატარებელი პრიორიტეტული სამუშაოები - ხიდების, ბოგირების, სპორტული მოედნების, სანიაღვრე და საწრეტი არხების შეკეთება, მდინარის ნაპირსამაგრიების რეკონსტრუქცია, მოსაცდელეების მოწყობა, სასაფლაოს შემოკაპება.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

– ვინც მარტვილს სტუმრობდა, შეამჩნევდა თუ რა მნიშვნელოვანი

დასრულდება მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია, იგეგმება მდ. აბაშის კანიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათი გახდება და უამრავ ტურისტს მოიზიდავს, მდინარე ტეხურის სანაპიროზე, ჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქაცარავას დახმარებით გაიხსნება საჯომარდო ცენტრი. გეგმაში გვაქვს მუნიციპალიტეტში ავადორძინოთ სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორც არის მეჩაიეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა, რაც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის და სასოფლო-სამეურნეო დარგების აღორძინებას. გარდა ამისა, მომავალი წლისთვის პროფესიული სასწავლებლის დაფუძნება იგეგმება, რომელიც არამარტო აგროსექტორს მოიცავს, არამედ მრეწველობის ყველა დარგისთვის პროფესიონალ მუშაკებს მოამზადებს და მთელს დასავლეთ საქართველოს მოემსახურება.



# შ.პ.ს „ახალი საქართველო“



შ.პ.ს „ახალი საქართველო“ ვროფილირებული სამშენებლო ჯომავანია, რომელიც ასრულებს გამორჩეული სიჩქარის სამუშაოს, როგორც ძველ მისაღობში და ახლებში შენობების ფასადებზე ნებისმიერი სამუშაოს ჩატარება (ლესვა, აედლების დათბობა, რესტავრაცია...), სახურავის მოწყობა, ხიდახის შეკეთება, შეღებვა და სხვა.



მუშაობის ვროცესში შ.პ.ს „ახალი საქართველო“ იყენებს ახლოდ უმაღლესი ხარისხის მასალებს მოწოდებული მწარმოებლებისგან, რაც ფირმის სპეციალისტების ვროფესიონალიზმთან და ახლად ავლიფიკაციასთან ერთად, შესრულებული სამუშაო გამორჩეულ ხარისხს განაპირობებს.




საქართველო, თბილისი,  
300 არაგვილის ქ. 2/3.  
(„სოხარის“ სათავო ოფისის წინ)

ტელ: (+995) 555 75 24 10;  
(+995) 551 19 07 04

**WWW.NEWFACADE.GE**

Email: [giorgi.chexani@mail.ru](mailto:giorgi.chexani@mail.ru)





# შპს „ფასადგრანდი“

შპს „ფასადგრანდი“ აწარმოებს მალაბარისხიან საშენებლო მასალას.

ამ აბაჯისტვის ჯომანია მოხმარებელს სთავაზობს:

■ ყინვაგამძლე წებოცემენტებს „გრანდფიქს“ და „გრანდბონდს“. აღნიშნული წებოცემენტი გამოიყენება შენობების, ფასადებისა და შიდა სამუშაოების შესრულებისათვის.

■ პენოპლასტის ნაწარმს, სხვადასხვა ზომისა და სისქის თბოსაიზოლაციო ფილებს, კარნიზებს, „ნალიჩნიკებს“, კოლონებს და სხვა დეკორატიულ ელემენტებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება შენობების ფასადების დათბუნება-მოსაპირკეთებლად და შიდა სამუშაოების ჩასატარებლად. მომხმარებლის სურვილის მიხედვით ხდება ამ ნაწარმის შეფერვა და დამუშავება.



შპს „ფასადგრანდი“ მალაბარისხიანი პროდუქციით აწარმოებს ისეთ უმსხვილეს საშენებლო ობიექტებს, როგორცაა ქ.თბილისში საშენებლო ჯომალაქი „ღირსი“ და „არჯურის“ სავაჭრო ცენტრის შენობა.

ასევე, მიზდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ჯომანიებთან პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით ჯონტრაქტების გაფორმებაზე.

შპს „ფასადგრანდის“ ხელმძღვანელობა, მათ მიერ წარმოებული სერტიფიცირებული მასალის შექმნის შემთხვევაში, მოხმარებელს გარანტიას აძლევს ხარისხზე და სანდოობაზე.

მასალა მიწოდებული იქნება ორივე მხარისათვის მისალაბ ფასებზე და ვპირდაპირ, პროდუქციის შექმნისას ჯაყოფილბი დარჩებინა.


ქ.თბილისი გარდაბნის გზაგაყვანილი 42. ტელეფონი: 555 75 24 10

WWW.FACADEGRAND.GE

- **ვრთვითობა**    ■ **მშენებლობა**    ■ **დოკუმენტი**
- **შიდას და ბიზნის მართვა**
- **მშენებლობის სფეროს სექტორი**




**ივერამშენ**  
**IVERIAMSHEN Plus**



მისამართი: ალ. ყაზბეგის 14ბ

ტელ.: 38 55 03; 38 55 63

ფაქსი: 38 55 63

მობ.: 8(77) 46 55 05; 8(77) 47 55 05



# HOTEL COMPLEX

Kutaisi, tsereteli str.  
by str. #11#2a  
Tel. +995 431 25 55 55  
+995 591 22 93 93  
fax: +995 431 24 91 88  
E-mail: info@bagrati1003.ge



# V.I.P.



# BAGRATI

WWW.BAGRATI1003.GE



საქართველო,  
ქუთაისი,  
წარეთისს 11N#2ა  
მობ.: 591 22-93-93



100+ წელი  
საღებავების სამყაროში



# თქვენი შვილის ჯანმრთელი გარემოსათვის



**ალპინა ბავშვის ოთახის  
თქვენი შვილის საყვარელი ფერი**

- ჯანმრთელი მიკროკლიმატისათვის
- ძალიან კარგად იწმინდება
- ბავშვისათვის ყველა სასურველი ფერი



ალპინა. გამოაცოცხლე შენი სახლი

